



NATIONAL CENTER FOR  
EDUCATIONAL QUALITY  
ENHANCEMENT

## საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ინდივიდუალური პროგრამა

(საზღვარგარეთ მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების  
საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია)

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში  
განხორციელებული  
საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

ზოგადი შედგინა  
(სომხურენოვანი)

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი  
[სომხეთი]

შეფასების თარიღ(ებ)ი  
5–6 მარტი, 2026  
დასკვნის წარდგენის თარიღი  
8 მაისი, 2026

## სარჩევი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ .....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა .....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	12
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან.....	12
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება .....	26
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა .....	34
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა .....	37
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	42

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უსდ-ს სახელწოდება ქართულად	მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება ინგლისურ და ოფიციალურ ენებზე	Yerevan State Medical University after Mkhitar Heratsi Մխիթար Հերացու անվան Երեվանի Պետական Բժշկական Համալսարան
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა:	ფონდი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი ირინა ფხაკაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ გოდერიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ხათუნა საგანელიძე, აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ვლადიმერ ვოსკანიანი, სომხური სამედიცინო ინსტიტუტი, სომხეთი

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულად	ზოგადი მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	General Medicine (One-Cycle Educational Programme)
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, ვეტერინარის მომზადება, მედიცინის ერთსაფეხურიანი, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამა, სხვა)	მე-7 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>1</sup>	დიპლომირებული მედიკოსი ექიმი, სომხეთის რესპუბლიკა; დიპლომირებული მედიკოსი, საქართველო;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სამიზნე ქვეყნის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (NQF) მიხედვით	კოდი: 91201.00.7 (სომხური კლასიფიკაცია) 0912 მედიცინა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF), განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISCED)
სწავლების ენა	სომხური
ECTS კრედიტების რაოდენობა	360 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული; გადაწყვეტილება № MES0240000160336, თარიღი: 14.02.2024 წ.  (პროგრამას მიენიჭა საერთაშორისო აკრედიტაცია 7 წლის ვადით; 2 წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით).

<sup>1</sup>უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ზოგადი მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება ინტეგრირებულ კურიკულუმს, რომელიც შეესაბამება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტებს და უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივ მახასიათებელს. პროგრამის შემუშავებისას უნივერსიტეტმა გაითვალისწინა საუკეთესო საერთაშორისო და რეგიონული პრაქტიკა, არსებული რესურსები და შრომის ბაზრის მოთხოვნები.

დილომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება როგორც სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, ასევე, ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს. პროგრამა აკრედიტებულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 14 თებერვლის № MES024 0000160336 გადაწყვეტილებით. . პროგრამას მიენიჭა საერთაშორისო აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2 წლის განმავლობაში მიმდინარე მონიტორინგის ჩატარების დათქმით.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

შეფასება განხორციელდა 2026 წლის 5–6 მარტს, დისტანციურად, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. ვიზიტი განხორციელდა ცენტრის მიერ დამტკიცებული, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის დისტანციურ ან ნახევრად დისტანციურ ფორმატში ჩატარების წესებისა და პირობების შესაბამისად. შეფასების მიზანს წარმოადგენდა „ზოგადი მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების (აქ:სომხურენოვანი) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, ცენტრში 2026 წლის 29 იანვარს შემოსული № 01/64 წერილით წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე (ცენტრის რეგისტრაციის № 88485). რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია წინასწარ გაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფს აკრედიტაციის ვიზიტამდე. ვიზიტს კოორდინაციას უწევდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. დამკვირვებლის სტატუსით ვიზიტს ესწრებოდა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრის (ANQA) წარმომადგენელი.

ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში, დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შეხვედრები გამართა: : უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან (რექტორი / პრორექტორები); პროგრამის ხელმძღვანელობასთან და აკადემიურ პერსონალთან; „ზოგადი მედიცინის“ პროგრამის სტუდენტებთან; პროგრამის კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან; კლინიკური ბაზებისა / პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებთან; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ პერსონალთან.

შეფასების პროცესი წარიმართა აკადემიურ და კონსტრუქციულ გარემოში, ექსპერტთა ჯგუფსა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შორის ღია და ნაყოფიერი დისკუსიების ფონზე.

▪ **რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემდგომი გაძლიერების მიზნით, გააგრძელოს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული კომპეტენციების ბალანსის მონიტორინგი, უზრუნველყოს სტანდარტიზებული შეფასების კრიტერიუმების თანმიმდევრული გამოყენება ყველა კლინიკურ მოდულში და კიდევ უფრო განავითაროს ფაკულტეტის განვითარების სტრუქტურირებული სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს კლინიკური შეფასების თანამედროვე მეთოდების, მათ შორის Mini-CEX-ისა და DOPS-ის, ეფექტიან დანერგვას.
- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მიზანად ისახავს როგორც პრაქტიკული, ისე სამეცნიერო უნარების განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფას, ეს მიზანი ჯერჯერობით სრულად არ არის მიღწეული და მომავალში საჭიროებს კვლევითი კომპონენტის უფრო მკაფიო სტრუქტურირებასა და სტანდარტიზაციას.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს და დაინერგოს სწავლების მეთოდოლოგიაზე ორიენტირებული მიზნობრივი ტრენინგები, რათა სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულ ყველა ლექტორსა და პედაგოგს მკაფიო წარმოდგენა ჰქონდეს იმ კონკრეტული კომპეტენციების შესახებ, რომელთა მიღწევაც სტუდენტებისგან არის მოსალოდნელი.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს სტანდარტიზებული კრიტერიუმები და შეფასების ინდიკატორები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს პროფესიონალიზმის, ეთიკური ქცევისა და ემპათიის შეფასების მახასიათებლებს.
- რეკომენდებულია, ახალი კრიტერიუმების საფუძველზე, დაინერგოს სტუდენტებისთვის რეგულარული უკუკავშირი, პროფესიული განვითარების მონიტორინგის მიზნით.
- რეკომენდებულია, უზრუნველყოს გამომცდელების მიერ მოდულებში შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების თანმიმდევრული გამოყენება, განსაკუთრებით პრაქტიკულ და კლინიკურ კომპონენტებში. ასევე, რეკომენდებულია გაუმჯობესდეს სტუდენტებისთვის მიწოდებული უკუკავშირის ხარისხი, დროულობა და სპეციფიკურობა, რათა იგი მკაფიოდ ასახავდეს როგორც სწავლის შედეგებთან შესაბამისობას, ისე ინდივიდუალური განვითარების სფეროებს.

▪ **რჩევები**

- სასურველია, დაწესებულებამ რეგულარულად შეაფასოს პროგრამის მიზნების ხილვადობა და თანმიმდევრულობა, ყველა საჯარო დოკუმენტსა და პლატფორმაზე, ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მხრივ მიღწეული პროგრესის შენარჩუნების მიზნით.
- სასურველია, პროგრამაში მკაფიოდ აისახოს სწავლის შედეგების, კურსებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისობა, რათა ნათლად გამოიკვეთოს, როგორ ფასდება თითოეული სწავლის შედეგი სისტემურად მთელი კურიკულუმის განმავლობაში.
- სასურველია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადი დაინტერესებული მხარეების — სტუდენტების, ჯანდაცვის დაწესებულებების, დამსაქმებლებისა და

კურსდამთავრებულების — აქტიური ჩართულობით, რაც გააძლიერებს პროგრამის აქტუალობას და უზრუნველყოფს ჯანდაცვის სფეროს მუდმივ საჭიროებებთან მის შესაბამისობას.

- სასურველია, კურიკულუმში კიდევ უფრო მკაფიოდ აისახოს კლინიკური და კვლევითი კომპეტენციების შესაბამისობა კურიკულუმში, რათა ნათლად ჩანდეს კონკრეტულ კურსებთან და შეფასების მეთოდებთან მათი კავშირი და სისტემური შესაბამისობა.
- სასურველია, პროგრამაში ნათლად აისახოს სწავლის შედეგების, კურსებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისობა, უზრუნველყოფილი იქნას დაინტერესებული მხარეების სისტემური ჩართულობა სწავლის შედეგების განხილვის პროცესში და სწავლის შედეგების ჯანდაცვის სისტემის მიმდინარე საჭიროებებთან შესაბამისობა.
- სასურველია, დაწესებულებამ წარმოადგინოს პრეკლინიკურ და კლინიკურ ფაზებს შორის მონიტორინგის მექანიზმების ეფექტიანობის მკაფიო მტკიცებულებები, მათ შორის გაზომვადი ინდიკატორები და დოკუმენტირებული შედეგები, რომლებიც დაადასტურებს სტუდენტების პროგრესსა და მათი მომზადების დონის ამაღლებას.
- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის თანმიმდევრულობის შემდგომი გაძლიერების მიზნით, რეგულარულად გადაიხედოს კურსების სილაბუსები, სასწავლო მასალები და კრედიტების განაწილება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებთან მდგრად შესაბამისობას.
- სასურველია, განმავითარებელი უკუკავშირის მექანიზმების გაფართოება (მაგალითად, სიმულაციური სესიების შემდგომი სტრუქტურირებული დებრიფინგი, Mini-CEX და OSCE პრაქტიკული შეფასებები) სწავლის ხელის შეწყობის მიზნით.
- სასურველია, რეგულარულად გააანალიზოთ და მოსწავლეებს გაუზიაროთ თუ როგორ გამოიყენება შეფასების შედეგები სწავლებისა და შეფასების მეთოდების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას მათი უკუკავშირის გავლენის შესახებ.
- სასურველია, დაწესებულებაში დაინერგოს PDCA ციკლის შეფასებისა და დაგეგმვის ფაზებს შორის მონიტორინგის შედეგების განხილვის ფორმალური მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც მონიტორინგის შედეგების საფუძველზე სისტემურად გადაიხედება და განახლდება სამოქმედო გეგმა და პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ცალკეული კორექტირების ღონისძიებების განსაზღვრით.
- სასურველია, უფრო თვალსაჩინო გახდეს, როგორ იყენებენ სასწავლო კურსების კოორდინატორები და კლინიკური ხელმძღვანელები ხარისხის მონაცემებს სასწავლო პროცესის ყოველდღიურ მართვასა და გაუმჯობესებაში, და ეს არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მმართველობით შეხვედრებში მათი მონაწილეობით, რაც კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს დაწესებულებაში ხარისხის კულტურის სიღრმესა და მდგრადობას.
- ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარების პარალელურად, სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს იმ ციფრული ხარისხის პროცესების შეთანხმებულ და თანმიმდევრულ ფუნქციონირებას, რომლებიც ამჟამად ეფექტიანია, თუმცა ცალკეული მართვის მექანიზმების ფარგლებში ხორციელდება.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>2</sup>

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ, ექსპერტთა შეფასებასთან დაკავშირებით, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნა, რომ მონიტორინგის პერიოდში უნივერსიტეტში უკვე მოქმედებდა პროგრამისა და ფაკულტეტის განვითარების გეგმა; შეფასების სისტემების მოდერნიზება დაწყებული იყო აკრედიტაციის პროცესამდე და ეს პროცესი არ წარმოადგენდა მხოლოდ აკრედიტაციის რეკომენდაციების შედეგს; კომპეტენციებზე დაფუძნებული და მრავალკომპონენტური შეფასების სისტემები შემდგომში კიდევ უფრო განვითარდა; ხოლო კლინიკური უნარების შეფასება ფორმალური იყო, როგორც შეფასების ცალკე კომპონენტი. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა წარმოდგენილი არგუმენტები, გაეცნო შესაბამის დოკუმენტს და განიხილა წამოჭრილი საკითხები. ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ექსპერტული შეფასება ეფუძნება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს და აფასებს არა მხოლოდ დოკუმენტირებულ ცვლილებებს, არამედ მათი განხორციელების ხარისხსა და პრაქტიკაში პროცესების თანმიმდევრულობასაც, რაც ინტერვიუების პროცესში გამოვლინდა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა, საბოლოო დასკვნით ანგარიშში, შეფასებები უცვლელი დაეტოვებინა.

**საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:**

- პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა; ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვის სქემა;
- პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;
- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);
- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესის სასწავლო წლების მიხედვით;
- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

პროგრამას გააჩნია შესაბამისი ადამიანური, აკადემიური და ორგანიზაციული რესურსები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, საკმარისი რაოდენობის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, მათ შორის, მათი მნიშვნელოვანი წილი ფლობს დოქტორის ხარისხს ამ სფეროში.

თანაფარდობა აფილირებულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის დაბალანსებულია, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუციურ სტაბილურობას. პერსონალის სამუშაო დატვირთვის განაწილება შესაბამეა ინსტიტუციურ რეგულაციებს, რაც უზრუნველყოფს სწავლებისა და აკადემიური ხელმძღვანელობის ეფექტიან განხორციელებას. აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში. პერსონალი აქტიურად აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს რეფერირებად ჟურნალებში და რეგულარულად მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში. ინტერვიუების დროს მიღებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ ბოლო წლებში პერსონალის გადინების მაჩვენებელი შედარებით სტაბილურია, რაც ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის უწყვეტობასა და მდგრადობას. პროგრამა ასევე გამოირჩევა შესაძლებლობებითა და ეფექტიანობით. ეს დასტურდება სტუდენტთა აკადემიური წინსვლის სტაბილურობით და აგრეთვე, მიღებულ სტუდენტთა რაოდენობასა და პროგრამის ხელმისაწვდომ რესურსებს შორის არსებული შესაბამისობით.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

ვიზიტის მიზანი იყო დაწესებულების მიერ წინა აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მხრივ მიღწეული პროგრესის შეფასება. აკრედიტაციის საბჭომ სომხურენოვანი პროგრამისთვის გასცა ათი რეკომენდაცია.

1. რეკომენდებულია, უზრუნველყოთ პროგრამის მიზნების საჯაროდ ხელმისაწვდომობა, დაწესებულების ვებგვერდის ან სხვა პლატფორმების საშუალებით, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალობას და დაინტერესებული მხარეების უფრო აქტიურ ჩართულობას - რეკომენდაცია გათვალისწინებულია.
2. რეკომენდირებულია, კლინიკურ გარემოში, პრაქტიკული უნარების შეფასების კრიტერიუმები უკეთ იყოს გაწერილი და უფრო დეტალურად აღწერილი, ვინაიდან უნარების შეფასების წილი (ზოგადად კლინიკურ კურსებში) დაბალია. **რეკომენდაცია მეტწილად გათვალისწინებულია.**
3. რეკომენდებულია, უზრუნველყოთ მონიტორინგის კავშირი პროგრამის ცალკეულ ფაზებს შორის (მაგალითად, პრეკლინიკურ და კლინიკურ ეტაპებს შორის). ეს ხელს შეუწყობს სწავლება-სწავლის პროცესის შეუფერხებლად განხორციელებას და უზრუნველყოფს თანხვედრას გეგმებსა და რეალობას შორის - რეკომენდაცია გათვალისწინებულია.
4. რეკომენდებულია, გადაიხედოს და მოდიფიცირდეს პროგრამის მოდულური სტრუქტურა; ინტეგრაციის დონეები (ჰორიზონტალური, ვერტიკალური და სპირალური კომპონენტები) განვითარდეს ერთიანი, შეთანხმებული და ყოვლისმომცველი საგანმანათლებლო სტრატეგიის საფუძველზე. **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**
5. რეკომენდებულია, გადაიხედოს მოდულების სტრუქტურა (საგნების ურთიერთკავშირი, თემებსა და საკითხებს შორის კავშირი, წინაპირობები). **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**
6. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს აქტივობებს, პასუხისმგებლობებს, ვადებსა და სავარაუდო მოსალოდნელ ცვლილებებს. **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**

7. რეკომენდებულია, გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და გაძლიერდეს კავშირები კურიკულუმის ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ და სპირალურ ელემენტებს შორის. **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**
8. რეკომენდებულია, სავალდებულო და არჩევითი კურსების დაბალანსებული განაწილება თითოეული აკადემიური წლის/სემესტრის განმავლობაში. რეკომენდებულია, 20-ზე მეტი არჩევითი კურსის შეთავაზება, როგორც ეს განსაზღვრულია ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაში. **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**
9. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამა და კურიკულუმში მკაფიოდ განისაზღვროს და ჩამონათვალის სახით იქნეს წარმოდგენილი უნარები და კვლევითი კომპეტენციები - **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**
10. რეკომენდებულია, შემუშავდეს და დაინერგოს შეფასების უფრო დეტალური კრიტერიუმები და რუბრიკები. **რეკომენდაცია ნაწილობრივ გათვალისწინებულია.**

### პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.4.	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	აკადემიური კურსი/საგანი	შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	აირჩიეთ შესაბამისი
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები;	მეტწილად შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია
3.	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	აირჩიეთ შესაბამისი

3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	აირჩიეთ შესაბამისი
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
<b>4</b>	<b>სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</b>	<b>აირჩიეთ შესაბამისი</b>
4.1	ადამიანური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი
4.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი
4.4	მატერიალური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	აირჩიეთ შესაბამისი
<b>5</b>	<b>სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b>	<b>შესაბამისობაშია</b>
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე

შეფასების კრიტერიუმები

### **განმარტებები:**

**რეკომენდაციები** - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები** - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

## **III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან**

### **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან**

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### **1.1 პროგრამის მიზნები**

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის საჭიროებების, ჯანდაცვის სისტემის მოთხოვნებისა და სამედიცინო განათლების საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მის აქტუალობას როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ კონტექსტში. პროგრამის მიზნები თანმიმდევრულია და შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. წარმოდგენილი პროგრამის მიზნები არსებითად მნიშვნელოვანია ექიმის განათლებისთვის.

გარდა ამისა, პროგრამაში მოცემულია სწავლის შედეგების/კომპეტენციების დეტალური სია, რაც დაკავშირებულია მიზნებთან, რაც ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ექიმის განათლებისთვის.

პროგრამის კურიკულუმი, სწავლა-სწავლების სტრატეგიები და შეფასების მეთოდები შემუშავებულია, რომ უზრუნველყოს სტუდენტების მიერ ყველა სწავლის შედეგის მიღწევა.

პროგრამა მკაფიოდ განსაზღვრავს თავის საერთო მიზანს — მოამზადოს საერთაშორისო დონის ცოდნითა და კომპეტენციით აღჭურვილი კურსდამთავრებულები ზოგად მედიცინაში -ზოგადი პროფილის ექიმები, რომლებსაც, სამედიცინო განათლების მდიდარ ტრადიციებზე დაყრდნობითა და საზოგადოებისადმი მაღალი პასუხისმგებლობით, შეეძლებათ შეუფერხებლად განაგრძონ დიპლომისშემდგომი სწავლა კლინიკური პრაქტიკის, ბიომედიცინური კვლევისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროებში.

პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნები რეალისტური და მიღწევადია, რადგან ისინი ფოკუსირებულია ზოგადი მედიცინის პრაქტიკისთვის საჭირო არსებითი ცოდნის, კლინიკური კომპეტენციებისა და პროფესიული უნარების განვითარებაზე. გარდა ამისა, პროგრამა პასუხობს საზოგადოებრივ მოთხოვნებს, რაც დასტურდება მისი შესაბამისობით ჯანდაცვის სისტემის მოთხოვნებთან და საზოგადოების ფართო ინტერესებთან. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და ხაზს უსვამს უსდ-ს ვალდებულებას, მოამზადოს კომპეტენტური და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მედიცინის პროფესიონალები. პროგრამის ხედვა ხაზს უსვამს ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი ზოგადი პროფილის ექიმების მომზადებას, რომლებსაც შეუძლიათ დიპლომისშემდგომი განათლების გაგრძელება კლინიკური მედიცინის, ბიომედიცინური კვლევისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები მოიცავს სამედიცინო განათლების ძირითად სფეროებს, მათ შორის ცოდნას, კლინიკურ უნარებს, პროფესიულ განვითარებას, ეთიკურ პრაქტიკას და კომუნიკაციის კომპეტენციებს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ბიოსამედიცინო, კლინიკური და ქვევითი მეცნიერებების ინტეგრაციაზე, ასევე, საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და კვლევით კომპონენტებზე. გარდა ამისა, პროგრამის კურიკულუმი შემუშავებულია, რომ უზრუნველყოფს კლინიკური გამოცდილების ეტაპობრივი განვითარება, რაც გულისხმობს პაციენტებთან ურთიერთობას, კლინიკური მსჯელობის განვითარებასა და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას სხვადასხვა სამედიცინო გარემოში, რაც თავისმხრივ ხელს უწყობს პაციენტზე ორიენტირებული მოვლისა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

იმ რეკომენდაციაზე საპასუხოდ, რომელიც ეხებოდა გამჭვირვალობის გაუმჯობესებას, დაწესებულებამ გაასაჯაროვა ინფორმაცია მედიცინის პროგრამის მიზნების შესახებ და უზრუნველყო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. უნივერსიტეტმა განაახლა ოფიციალური ვებგვერდი, პროგრამის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, მათ შორის მისი ხედვის, სტრუქტურის, სწავლის შედეგების, სწავლებისა და შეფასების მიდგომებისა და არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ. გარდა ამისა, დაინერგა ინსტიტუციური ციფრული პლატფორმა („ელექტრონული უნივერსიტეტი“), რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სტუდენტებისთვის, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული თანამშრომლებისთვის, რაც, თავის მხრივ, აუმჯობესებს კომუნიკაციასა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ანგარიში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ
- პროგრამის აღწერის დოკუმენტი.
- ვებგვერდზე განთავსებული მისია
- ინტერვიუები ხელმძღვანელობასთან, ფაკულტეტის სტუდენტებთან, პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები.**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

- სასურველია, დაწესებულებამ რეგულარულად შეაფასოს პროგრამის მიზნების ხილვადობა და თანმიმდევრულობა, ყველა საჯარო დოკუმენტსა და პლატფორმაზე, ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მხრივ მიღწეული პროგრესის შენარჩუნების მიზნით.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">1.1 პროგრამის მიზნები</a>	შესაბამისობაშია

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

„ზოგადი მედიცინის“ პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია დიპლომირებული მედიკოსის მისანიჭებელი ხარისხის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად და შეესაბამება როგორც სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, ისე ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერენ იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

პროგრამამოიცავს თორმეტ სწავლის შედეგს, რომლებიც ფარავს სამედიცინო განათლების ძირითად მიმართულებებს, როგორცაა:

სწავლის შედეგი 1: სიღრმისეული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და კრიტიკული აზროვნება მედიცინის სფეროში.

სწავლის შედეგი 2: მონაწილეობა ჯანდაცვის დაწესებულებების მართვაში.

სწავლის შედეგი 3: პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება, დოკუმენტირება და ანალიზი.

სწავლის შედეგი 4: თანამედროვე კლინიკური და პარაკლინიკური გამოკვლევების, მკურნალობისა და პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად შესაბამისი ალგორითმების გამოყენება

სწავლის შედეგი 5: დიაგნოსტიკისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განხორციელება პრეჰოსპიტალურ და ჰოსპიტალურ ეტაპებზე, ასევე, პათოლოგიური მდგომარეობის შესაძლო შედეგების პროგნოზირებას.

სწავლის შედეგი 6: პაციენტის წინასწარი დიაგნოზის დასმა და მის შესაბამის სპეციალისტთან მიმართვის უზრუნველყოფა.

სწავლის შედეგი 7: საზოგადოების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი; ჯანდაცვის პროგრამების შემუშავება, განხორციელება და შეფასება; აგრეთვე, შესაძლო განვითარების პროგნოზირება.

სწავლის შედეგი 8: პაციენტების, მათი ოჯახის წევრებისა და საზოგადოების განათლება, ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლება.

სწავლის შედეგი 9: პროფესიული კონსულტირება და ექსპერტიზა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებისთვის.

სწავლის შედეგი 10: დიდაქტიკური, სამეცნიერო, ნორმატიული დოკუმენტების, საინფორმაციო და სხვა წყაროების, მათ შორის უცხოენოვანი მასალის გაანალიზება და გამოყენება, პროფესიული თვითსწავლისა და ახალი ცოდნის გენერირების მიზნით.

სწავლის შედეგი 11: სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განხორციელება, ბიოსამედიცინო და ჯანდაცვის სფეროს საკითხებზე.

სწავლის შედეგი 12: ეფექტური კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარების გამოვლენა სტანდარტულ და არასტანდარტულ სიტუაციებში, აგრეთვე, პასუხისმგებლობის აღების უნარი გუნდის წევრებთან მიმართებით, ეთიკური და სათანადო ქცევის ნორმების დაცვით.

აღნიშნული სწავლის შედეგები მოიცავს სამედიცინო განათლებისათვის საჭირო კომპეტენციების ძირითად სფეროებს, მათ შორის: თეორიულ და პრაქტიკულ სამედიცინო ცოდნას, კლინიკურ და დიაგნოსტიკურ კომპეტენციებს, პაციენტის მართვასა და გადაუდებელ დახმარებას, საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და საზოგადოების ჯანმრთელობის მართვას, კვლევით უნარებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკას, აგრეთვე კომუნიკაციას, გუნდურ მუშაობას, ეთიკურ ქცევასა და პროფესიულ პასუხისმგებლობას.

საერთო ჯამში, განსაზღვრული სწავლის შედეგები ლოგიკურად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას და განსაზღვრავს კურსდამთავრებულთა კომპეტენციებს, როგორც ზოგადი პროფილის ექიმების, რომლებიც შეძლებენ კლინიკური პოსტდოპლომური განათლების

გაგრძელებას და წვლილს შეიტანენ ჯანდაცვის სისტემებსა და ბიოსამედიცინო კვლევებში. კურიკულუმის სტრუქტურა და შეფასების მეთოდები შემუშავებულია აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით.

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს კლინიკური, კვლევითი და პროფესიული კომპეტენციების ფართო სპექტრს, რომლებიც ასახულია კურიკულუმის სტრუქტურაში და დასტურდება კურიკულუმის რუკის მეშვეობით. დაწესებულებამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა, რომ კურიკულუმში მკაფიოდ ჩამოეყალიბებინა და დოკუმენტში მიეთითებინა კლინიკური უნარები და კვლევითი კომპეტენციები. აღნიშნული კომპეტენციები ასახულია მოდულების სილაბუსებში, კლინიკური უნარების საკონტროლო სიებში და სამუშაო რვეულებში (ლოგბუქებში). გარდა ამისა, კვლევითი მომზადება გაძლიერებულია, სპეციალიზებული კურსებასა და რამდენიმე მოდულში კვლევასთან დაკავშირებული აქტივობების ინტეგრაციის გზით. თუმცა, კონკრეტული უნარებისა და კვლევითი კომპეტენციების შემდგომმა დაზუსტებამ და კურიკულუმში უფრო ნათლად განსაზღვრამ შესაძლოა გააძლიეროს მათი ხილვადობა და სისტემატური თანხვედრა.

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას თანამედროვე სამედიცინო განათლების მოთხოვნებთან. სწავლის შედეგების შემუშავებისა და პერიოდული გადახედვის პროცესში ჩართულია აკადემიური პერსონალი, ხოლო პროცესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სტუდენტებისა და ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლების უკუკავშირს. სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შეფასების სტრუქტურირებული სისტემით, რომელიც მოიცავს წერით გამოცდებს, კლინიკური უნარების შეფასებებს, OSCE-ს, Mini-CEX-სა და DOPS-ს, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის მუშაობისა და კომპეტენციების განვითარების გაზომვად მტკიცებულებებს.

სწავლის შედეგები ერთობლივად მოიცავს სამედიცინო განათლების ძირითად სფეროებს — ცოდნას, კლინიკურ უნარებსა და პროფესიულ დამოკიდებულებებს — და ამავდროულად, ასახავს ისეთ მნიშვნელოვან კომპეტენციებს, როგორცაა პაციენტის კონსულტირება, კლინიკური მსჯელობა, კომუნიკაცია, ეთიკის საკითხები და გადაუდებელი დახმარება. გარდა ამისა, პროგრამაში ინტეგრირებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, პრევენციის, ეპიდემიოლოგიისა და ჯანდაცვის სისტემების ასპექტები შესაბამისი სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის კომპონენტების მეშვეობით.

უფრო მეტიც, პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულებს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შესაბამისი დონით, რაც მათ საშუალებას აძლევს იმუშაონ ზედამხედველობის ქვეშ და გააგრძელონ დიპლომის შემდგომი კლინიკური განათლება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ანგარიში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ
- პროგრამის აღწერის დოკუმენტი.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

- ინტერვიუები ხელმძღვანელობასთან, ფაკულტეტის სტუდენტებთან, პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები.**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

- სასურველია, პროგრამაში მკაფიოდ აისახოს სწავლის შედეგების, კურსებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისობა, რათა ნათლად გამოიკვეთოს, როგორ ფასდება თითოეული სწავლის შედეგი სისტემურად მთელი კურიკულუმის განმავლობაში.
- სასურველია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადი დაინტერესებული მხარეების — სტუდენტების, ჯანდაცვის დაწესებულებების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების — აქტიური ჩართულობით, რაც გააძლიერებს პროგრამის აქტუალობას და უზრუნველყოფს ჯანდაცვის სფეროს მუდმივ საჭიროებებთან მის შესაბამისობას.
- სასურველია, კურიკულუმში კიდევ უფრო მკაფიოდ აისახოს კლინიკური და კვლევითი კომპეტენციების შესაბამისობა, რათა ნათლად ჩანდეს კონკრეტულ კურსებთან და შეფასების მეთოდებთან მათი კავშირი და სისტემური შესაბამისობა.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</a>	შესაბამისობაშია

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

განხილული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დაწესებულებამ შეიმუშავა სტრუქტურირებული პოლიტიკა და პროცედურა პროგრამის სწავლის

შედეგების შეფასებისა და მონიტორინგისთვის. პოლიტიკა განსაზღვრავს სისტემურ და გამჭვირვალე შეფასების ციკლს, მათ შორის სწავლის შედეგების განსაზღვრას, მონაცემთა შეგროვებას, ანალიზს და შედეგების გამოყენებას უწყვეტი გაუმჯობესებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ შეფასების მექანიზმები მკაფიოდ არის განსაზღვრული, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის შესრულების მკაფიო კრიტერიუმებისა და სამიზნე ინდიკატორების შემდგომი განვითარება გააძლიერებდა მიღწევების შეფასებას და გაზრდიდა შეფასების პროცესის გამჭვირვალობას.

პოლიტიკის დოკუმენტი ასახავს ინსტიტუციური ერთეულების მკაფიოდ განსაზღვრულ პასუხისმგებლობებს და აერთიანებს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. რეგულარულად ხდება მონაცემების შეგროვება და ანალიზი, ხოლო შედეგები აისახება პერიოდული მონიტორინგის ანგარიშებში. ეს პროცესები ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას და პროგრამის უწყვეტ განვითარებას.

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება შეფასების მრავალფეროვანი მეთოდებით, მათ შორის წერიტი გამოცდები, კლინიკური უნარების შეფასებები, სტრუქტურირებული პრაქტიკული შეფასებები და უკუკავშირის მექანიზმები.

გარდა ამისა, დანერგილია მონიტორინგისა და ანალიზის მექანიზმი, რომლის განხორციელებას რეგულარულად აკონტროლებს პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები, ხოლო მიღწეული პროგრესი წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

დაწესებულებამ დანერგა რამდენიმე მექანიზმი, რომელთა მიზანია პრეკლინიკურ და კლინიკურ ფაზებს შორის უწყვეტობის მხარდაჭერა, მათ შორის კურიკულუმის გადახედვა, ინტეგრირებული შეფასებების ანალიზი და კურიკულუმის რუკის შემუშავება. თუმცა, ამ მექანიზმების შემდგომი ფორმალიზება, განსაკუთრებით პროგრამის ფაზებს შორის კომპეტენციების განვითარების სისტემური მონიტორინგი და ვერტიკალური ინტეგრაციის უზრუნველყოფა, ხელს შეუწყობს პროგრამის მონიტორინგის გაუმჯობესებას და ზოგად თანმიმდევრულობას.

დაწესებულებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა იმ რეკომენდაციის შესასრულებლად, რომელიც ეხებოდა კლინიკურ გარემოში პრაქტიკული უნარების შეფასების კრიტერიუმების კონტროლსა და აღწერას. დანერგილია მრავალკომპონენტური შეფასების სისტემა, რომელიც რამდენიმე მოდულში პრაქტიკულ უნარებს გაზრდილ წონას ანიჭებს და ითვალისწინებს სტანდარტიზებული შეფასების ინსტრუმენტების, როგორცაა საკონტროლო სიები და რუბრიკები, დანერგვას. კლინიკურ დისციპლინებში პრაქტიკული კომპეტენციები ფასდება სტანდარტიზებული ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორცაა OSCE, Mini-CEX, DOPS და სტრუქტურირებული საკონტროლო სიები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის თანმიმდევრულობას, ობიექტურობას და გამჭვირვალობას.

ანგარიში ასევე აჩვენებს, რომ პრაქტიკული უნარების შეფასების კრიტერიუმები ამჟამად უფრო მკაფიოდ არის აღწერილი და მოდულების მასშტაბით სულ უფრო მეტად სტანდარტიზებულია, ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა მათი თანმიმდევრული გამოყენების უზრუნველსაყოფად.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილებების განხორციელება ჯერ კიდევ მიმდინარეობს და პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივად ინერგება, ხოლო მათი სრული შესაბამისობა მომდევნო წლებშია მოსალოდნელი.

გარდა ამისა, თანდათანობით დაინერგა კლინიკური შეფასების თანამედროვე მეთოდები; თუმცა, ინტერვიუების დროს გამოვლინდა, პერსონალის გადამზადების შემდგომი საჭიროება, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში არ არის სრულად გაცნობიერებული ისეთი ინსტრუმენტების მიზანი და

სათანადო გამოყენება როგორცაა Mini-CEX და DOPS. ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს შეფასების თანმიმდევრულობასა და ეფექტურობაზე. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობები უკვე დაწყებულია, რეკომენდებულია, სტრუქტურირებული და უწყვეტი შესაძლებლობების განვითარების სისტემის შემდგომი გაძლიერება, რათა თანამედროვე შეფასების მეთოდები ყველა მოდულში ერთგვაროვნად და სათანადოდ იქნეს გამოყენებული.

შეფასების შედეგები სისტემატურად განიხილება აკადემიური პერსონალის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და გამოიყენება კურიკულუმის შემდგომი გადახედვის, მოდულების სტრუქტურის დახვეწისა და სწავლებისა და შეფასების მიდგომების გაუმჯობესების მიზნით. აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ აღნიშნული მექანიზმები აქტიურად გამოიყენება და ხელს უწყობს პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, შეფასების პროცესი მოიცავს ძირითადი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირებას და აძლიერებს პროგრამის შესაბამისობას მიმდინარე საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სექტორის საჭიროებებთან. თუმცა, გარე დაინტერესებული მხარეების, მათ შორის დამსაქმებლებისა და ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლების, უფრო ფართო ჩართულობა დამატებით გააძლიერებდა შეფასების პროცესის სრულყოფასა და პროგრამის აქტუალობას.

საერთო ჯამში, პროგრამას აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მკაფიოდ განსაზღვრული და პრაქტიკაში მოქმედი მექანიზმი. შეფასების შედეგები ეფექტურად გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგებს, სწავლებასა და შეფასების პრაქტიკებს შორის თანხვედრას.

აღნიშნული გაუმჯობესებების შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების მიზნით, რეკომენდებულია, დაწესებულებამ განაგრძოს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული კომპეტენციების ბალანსის მონიტორინგი, უზრუნველყოს შეფასების კრიტერიუმების თანმიმდევრული გამოყენება ყველა კლინიკურ მოდულში და გააძლიეროს ფაკულტეტის განვითარების აქტივობები, რათა ხელი შეეწყოს თანამედროვე კლინიკური შეფასების მეთოდების, მათ შორის Mini-CEX-ისა და DOPS-ის, სათანადო გაცნობიერებასა და ეფექტიან გამოყენებას.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგის პროცედურა (PLO);
- პროგრამის შეფასებისა და ხარისხის გაუმჯობესების ანგარიში 2023–2025;
- მოდულური საგანმანათლებლო სისტემის შეფასება, აკადემიური წელი 2024–2025;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები.

#### **რეკომენდაციები.**

რეკომენდებულია, დაწესებულებამ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემდგომი გაძლიერების მიზნით, გააგრძელოს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული კომპეტენციების ბალანსის მონიტორინგი, უზრუნველყოს სტანდარტიზებული შეფასების კრიტერიუმების თანმიმდევრული გამოყენება ყველა კლინიკურ მოდულში და კიდევ უფრო

განავითაროს ფაკულტეტის განვითარების სტრუქტურირებული სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს კლინიკური შეფასების თანამედროვე მეთოდების, მათ შორის Mini-CEX-ისა და DOPS-ის, ეფექტიან დანერგვას.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამაში ნათლად აისახოს სწავლის შედეგების, კურსებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისობა, უზრუნველყოფილი იქნას დაინტერესებული მხარეების სისტემური ჩართულობა სწავლის შედეგების განხილვის პროცესში და სწავლის შედეგების ჯანდაცვის სისტემის მიმდინარე საჭიროებებთან შესაბამისობა.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი</a>	მეტწილად

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი**

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

„ზოგადი მედიცინის“ (MD) პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების ინსტიტუციური მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შემუშავების პროცესი ეფუძნება საერთაშორისო სამედიცინო განათლების სტანდარტებს (მათ შორის WFME-ს), დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის საჭიროებებსა და სამედიცინო განათლების თანამედროვე ტენდენციებს.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და ლოგიკურად არის ორგანიზებული ურთიერთდაკავშირებულ საგანმანათლებლო ბლოკებად, რომლებიც მოიცავს ზოგად განათლებას, სტრუქტურულ მედიცინას, ფუნქციურ მედიცინას, პრეკლინიკურ მედიცინასა და კლინიკურ მედიცინას. ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს ბიოსამედიცინო ცოდნის საფუძვლებიდან კლინიკურ პრაქტიკაზე თანდათანობით გადასვლას და ხელს უწყობს ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ და სპირალურ ინტეგრაციას მთელი პროგრამის განმავლობაში.

პროგრამის სტრუქტურა ხელს უწყობს კლინიკური პასუხისმგებლობის თანმიმდევრულ განვითარებას, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს თანდათანობით შეიძინონ კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია ზედამხედველობის ქვეშ მყოფ, უმცროს ექიმად მუშაობისთვის.

კლინიკური მომზადება განაწილებულია სწავლის სხვადასხვა წელზე პრაქტიკის, სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლისა და პაციენტის საწოლთან სწავლების (bedside teaching) მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს რეალური კლინიკური გარემოს უკეთ გაცნობასა და ინტენსივობის თანდათანობით ზრდას. გარდა ამისა, კურიკულუმი მოიცავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ეპიდემიოლოგიის, დაავადებათა პრევენციისა და ჯანდაცვის სისტემების კომპონენტებს, რომლებიც ინტეგრირებულია შესაბამის მოდულებში და ხელს უწყობს პოპულაციურ და პრევენციულ სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარებას.

სწავლებისა და სწავლის აქტივობები ხორციელდება მოდულური კურსებისა და პრაქტიკის მეშვეობით, მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, როგორცაა ინტერაქტიული ლექციები, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სიმულაციაზე დაფუძნებული ტრენინგი და სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების ინსტრუმენტები. ეს მიდგომები ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და კლინიკური, კვლევითი და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაცია — დიპლომირებული მედიკოსი (MD Physician) — შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სტრუქტურასა და დაგეგმილ სწავლის შედეგებთან, რომლებიც ამზადებს კურსდამთავრებულებს კლინიკური პრაქტიკისთვის, ბიომედიცინური კვლევისთვის და შემდგომი დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისთვის.

სწავლებისა და სწავლის აქტივობები ხორციელდება მოდულური კურსებისა და პრაქტიკის მეშვეობით, მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, როგორცაა ინტერაქტიული ლექციები, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სიმულაციაზე დაფუძნებული ტრენინგი და სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების ინსტრუმენტები. ეს მიდგომები ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და კლინიკური, კვლევითი და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაცია — დიპლომირებული მედიკოსი (MD Physician) — შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სტრუქტურასა და დაგეგმილ სწავლის შედეგებთან, რომლებიც ამზადებს კურსდამთავრებულებს კლინიკური პრაქტიკისთვის, ბიომედიცინური კვლევისთვის და შემდგომი დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისთვის.

აკრედიტაციის რეკომენდაციების საპასუხოდ, დაწესებულებამ შეიმუშავა და დანერგა ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები, პასუხისმგებლობები, ვადები და მოსალოდნელი შედეგები. აკრედიტაციის გადაწყვეტილების მიღებიდან მალევე, ოფიციალურად დამტკიცდა სამოქმედო გეგმა-განრიგი და შემდგომში საფუძვლად დაედო პროგრამის გაუმჯობესების სისტემურ განხორციელებას.

სამოქმედო გეგმა მოიცავს თითოეული რეკომენდაციისთვის მკაფიოდ განსაზღვრულ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს, რაც აჩვენებს პროგრამის შემუშავებისა და ხარისხის უზრუნველყოფისადმი სტრუქტურირებულ და სისტემურ მიდგომას.

2025 წლის ოქტომბერში აკადემიურ საბჭოს წარედგინა სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ ყოვლისმომცველი ანგარიში და დადებითად შეფასდა, რაც მიუთითებს, რომ დაგეგმილი

აქტივობების უმეტესობა წარმატებით განხორციელდა. ამავდროულად, გარკვეული ღონისძიებები (მაგ., მობილობის ინდიკატორებთან დაკავშირებული) კვლავ მიმდინარეობს და მათი შემდგომი გაუმჯობესებისთვის დაგეგმილია დამატებითი ღონისძიებები.

შედეგად, განხილული დოკუმენტაცია მიუთითებს, რომ დაწესებულებამ აკრედიტაციის რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით განახორციელა რიგი სტრუქტურული და სასწავლო გეგმის ცვლილებები. ესენია მოდულური სწავლების სისტემაზე თანდათანობით გადასვლა, ჰორიზონტალური, ვერტიკალური და სპირალური ინტეგრაციის გაძლიერება, მოდულების გადახედვა და რეორგანიზაცია, წინაპირობების დაზუსტება და დისციპლინებს შორის კოორდინაციის გაძლიერება.

დაწესებულებამ განახორციელა პროგრამის მოდულური სტრუქტურის ყოვლისმომცველი მიმოხილვა, რომლის მიზანიც იყო მოდულების ორგანიზების გაუმჯობესება და ჰორიზონტალური, ვერტიკალური და სპირალური ინტეგრაციის გაძლიერება. მოდულები გადაიხედა, რეორგანიზდა და შესაბამისობაში მოვიდა პროგრამის სწავლის შედეგებთან, რამაც ხელი შეუწყო სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობისა და ლოგიკური პროგრესის გაუმჯობესებას.

თუმცა, მოდულურ სისტემაზე გადასვლა კვლავაც მიმდინარეობს და ამ ცვლილებების გავლენა ჯერ კიდევ სრულად არ არის დადასტურებული. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია მეტწილად გათვალისწინებულია, თუმცა, განხორციელებული ცვლილებების სრული გავლენა ჯერ კიდევ დასადასტურებელია.

მნიშვნელოვნად გაიზარდა არჩევითი კურსების რაოდენობა და 2025–2026 სასწავლო წლისთვის 25-ს მიაღწია, რაც რეკომენდებულ მინიმუმ რაოდენობას აღემატება. არჩევითი კურსები განაწილებულია სწავლების სხვადასხვა წლებზე, რაც ხელს უწყობს კურიკულუმის უფრო დაბალანსებული სტრუქტურის ჩამოყალიბებას. კურიკულუმის რუკა დამატებით ადასტურებს არჩევითი კომპონენტების ინტეგრაციას რამდენიმე სემესტრის ფარგლებში; შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია ითვლება სრულად განხორციელებულად.

გაძლიერდა პრაქტიკული და კლინიკური მომზადების კომპონენტები. კერძოდ, მეტი ყურადღება ეთმობა კლინიკური უნარების განვითარებას, სიმულაციაზე დაფუძნებულ სწავლებას და ისეთი სტრუქტურირებული შეფასების მეთოდების გამოყენებას, როგორცაა OSCE, Mini-CEX და DOPS.

კურიკულუმის რუკა მკაფიოდ ასახავს პროგრამის სწავლის შედეგებს, მოდულებს, კურსებსა და შეფასების მეთოდებს შორის შესაბამისობას და ადასტურებს განსაზღვრული სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას ექვსწლიანი პროგრამის განმავლობაში. იგი ხელს უწყობს ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ და სპირალურ ინტეგრაციას, რადგან ასახავს ძირითადი კომპეტენციების ეტაპობრივ გაღრმავებასა და განვითარებას სწავლების სხვადასხვა ეტაპზე, სირთულის ზრდის პრინციპის შესაბამისად. შესაბამისად, იგი ფუნქციონირებს როგორც პროგრამის მონიტორინგისა და მისი უწყვეტი გაუმჯობესების ეფექტიანი ინსტრუმენტი.

დაწესებულებამ დანერგა რამდენიმე მექანიზმი პრეკლინიკურ და კლინიკურ ეტაპებს შორის კავშირის გასაძლიერებლად, მათ შორის კურიკულუმის რუკის შედგენა, რეგულარული

გამოკითხვები, ინტეგრირებული შეფასებების ანალიზი და სპეციალური მონიტორინგის ჯგუფის შექმნა. ეს ზომები ხელს უწყობს პროგრამის სხვადასხვა ეტაპს შორის უწყვეტობასა და შესაბამისობას. თუმცა აღნიშნული მექანიზმების სრული ეფექტიანობა ჯერ ვერ დასტურდება, ვინაიდან გადამუშავებული მოდულური კურიკულუმის მიხედვით სწავლების პირველ ნაკადს ჯერ არ დაუსრულებია პრეკლინიკური ფაზა.

სასურველია, დაწესებულებამ წარმოადგინოს პრეკლინიკურ და კლინიკურ ფაზებს შორის მონიტორინგის მექანიზმების ეფექტიანობის მკაფიო მტკიცებულებები, მათ შორის გაზომვადი ინდიკატორები და დოკუმენტირებული შედეგები, რომლებიც დაადასტურებს სწავლების უწყვეტობის გაუმჯობესებასა და სტუდენტების მომზადების დონის ამაღლებას.

საერთო ჯამში, პროგრამა გამოირჩევა თანმიმდევრული და კარგად სტრუქტურირებული კურიკულუმით, რომელიც შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რასაც ადასტურებს მოდულების ორგანიზება, მათი ინტეგრაცია და არჩევითი კურსების განაწილება. მოდულური სტრუქტურის, კურიკულუმის ინტეგრაციისა და მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერების მიმართულებით მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, გარკვეული სფეროები — მათ შორის პროგრამის დონეზე მონიტორინგის ეფექტიანობის დასაბუთება — კვლავ საჭიროებს შემდგომ განვითარებას.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ანგარიში „დიპლომირებული მედიკოსის“ (MD) საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ქმედებების შესახებ, რომლებიც შესრულდა საქართველოს უმაღლესი განათლების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე;
- ინტერვიუების შედეგები.

#### **რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

- სასურველია, დაწესებულებამ წარმოადგინოს პრეკლინიკურ და კლინიკურ ფაზებს შორის მონიტორინგის მექანიზმების ეფექტიანობის მკაფიო მტკიცებულებები, მათ შორის გაზომვადი ინდიკატორები და დოკუმენტირებული შედეგები, რომლებიც დაადასტურებს სტუდენტების პროგრესსა და მათი მომზადების დონის ამაღლებას.

#### **შეფასება**

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი</a>	შესაბამისობაშია

#### 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის დოკუმენტაცია მიუთითებს, რომ აკადემიური კურსების შინაარსი, დატვირთვა და სტრუქტურა შემუშავებულია, რომ უზრუნველყოფს კურსის დონეზე სწავლის შედეგების მიღწევას და მათ თანხვედრას პროგრამის სწავლის შედეგებთან. პროგრამა ორგანიზებულია მოდულებისა და კურსების სახით, რომელთა სილაბუსებში მკაფიოდ არის განსაზღვრული სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების მიდგომები.

ECTS კრედიტების განაწილება ასახავს თითოეული კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაო დატვირთვას. კურსები მოიცავს თეორიულ სწავლებას, პრაქტიკულ მომზადებას, ლაბორატორიულ სამუშაოს და კლინიკურ აქტივობებს, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფს სამედიცინო კურსდამთავრებულთათვის მოსალოდნელი ცოდნის, უნარებისა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. კურსის სილაბუსები აღწერს სწავლის შედეგებს, სწავლებისა და სწავლის მეთოდებს, შეფასების სტრატეგიებს და რეკომენდებულ სასწავლო მასალებს. თითოეული სილაბუსი განსაზღვრავს სავალდებულო და რეკომენდებულ სასწავლო მასალას, მათ შორის სახელმძღვანელოებს, კლინიკურ გაიდლაინებსა და ციფრულ რესურსებს, რომლებიც ხელს უწყობს როგორც კურსის, ისე პროგრამის დონეზე სწავლის შედეგების მიღწევას და საჭირო კომპეტენციების განვითარებას.

პროგრამა იყენებს მრავალფეროვან საგანმანათლებლო რესურსებს, მათ შორის სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო ლიტერატურას, კლინიკურ გაიდლაინებს, ციფრულ სასწავლო პლატფორმებსა და სიმულაციური სწავლების ინსტრუმენტებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მიერ როგორც კურსის, ისე პროგრამის დონეზე სწავლის შედეგების მიღწევას.

განხილული დოკუმენტაციის მიხედვით, აკრედიტაციის რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელდა მნიშვნელოვანი გაუმჯობესებები. უნივერსიტეტმა გადახედა რიგი კურსების სილაბუსებს, დააზუსტა წინაპირობები და განახორციელა ცალკეული მოდულების რეორგანიზაცია, საგნებს შორის კავშირების განმტკიცებისა და თემატური თანმიმდევრულობის გაუმჯობესების მიზნით.

გარდა ამისა, შემუშავდა ახალი არჩევითი კურსები და განახლდა არსებული კურსების გარკვეული კომპონენტები, ხოლო ზოგიერთი საგანს შეეცვალა სახელწოდება ან გადანაწილდა სწავლების სხვადასხვა წლებზე, სასწავლო პროცესის ლოგიკური თანმიმდევრულობის გაუმჯობესების მიზნით.

კურსისა და მოდულის დონეზე განხორციელდა რამდენიმე კონკრეტული ცვლილება, რომელთა მიზანი იყო კურსის შინაარსის, სწავლის შედეგებისა და პროგრამის საერთო სტრუქტურის შორის შესაბამისობის გაუმჯობესება. მაგალითად, გადაიხედა მოდულური სტრუქტურა სწავლების ადრეულ წლებში, რის შედეგადაც გარკვეული საგნები გაერთიანდა ან გადანაწილდა, ხოლო ზოგიერთ კურსს კონცეპტუალური სიცხადისთვის შეეცვალა სახელი (მაგ., „ფიზიოლოგია“ შეიცვალა „ადამიანის ფიზიოლოგია“-ით, ხოლო „სამედიცინო პარაზიტოლოგია“ — „პარაზიტოლოგიის საფუძვლები“-თ). დამატებით, კურსი „სომხური ცივილიზაციის ისტორია და მედიცინის ისტორია სომხეთში“ გაიყო ორ დამოუკიდებელ საგნად, თემატური ფოკუსის უფრო მკაფიოდ უზრუნველყოფის მიზნით.

პროგრამის კლინიკურ ეტაპზე რეორგანიზდა რამდენიმე მოდული, რათა უკეთ ასახულიყო კლინიკური სპეციალიზაცია და სწავლის ლოგიკური პროგრესია. მაგალითად, დაინერგა „უროლოგიისა და ანდროლოგიის“ ცალკე მოდული და შეიქმნა „ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის“ ახალი მოდული, ხოლო ქირურგიული დისციპლინები დაკონკრეტდა ისეთ სფეროებად, როგორიცაა მუცლის დრუს, გულმკერდის, გულის და სისხლძარღვთა ქირურგია. აღნიშნულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო დისციპლინური სტრუქტურის უფრო მკაფიო ჩამოყალიბებას და გაუმჯობესა კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელ კლინიკურ კომპეტენციებთან შესაბამისობა.

გარდა ამისა, პროგრამამ გააფართოვა არჩევითი საგნების რაოდენობა სწავლის სხვადასხვა წელს და დაინერგა ისეთი კურსები, როგორიცაა საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარები მედიცინაში, მოწინავე კვლევითი უნარები, ხელოვნური ინტელექტი მედიცინაში, სამედიცინო ეკოლოგია და ემოციური ინტელექტი. აღნიშნული კურსები აფართოებს სტუდენტების კომპეტენციებს და ძირითადი სამედიცინო მომზადების პარალელურად ხელს უწყობს ინტერდისციპლინური და პროფესიული უნარების განვითარებას.

გარდა ამისა, მოდულურ სასწავლო სისტემაზე გადასვლამ და მრავალკომპონენტური შეფასების ჩარჩოს დანერგვამ გააძლიერა კურსის შინაარსის, სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების ურთიერთშესაბამისობა. კურსების ფარგლებში პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტები სულ უფრო მეტად ფასდება სტრუქტურირებული ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა OSCE, Mini-CEX, DOPS და სტანდარტიზებული საკონტროლო სიები.

საერთო ჯამში, განხილული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ სასწავლო კურსები ისეა სტრუქტურირებული, რომ უზრუნველყოფს როგორც კურსის, ისე პროგრამის დონეზე განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო სილაბუსების, მოდულებისა და შეფასების მექანიზმების რეგულარული განახლება ასახავს დაწესებულების ვალდებულებას პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების მიმართ.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პროგრამის აღწერა, კურსების სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა და კურიკულუმის დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები.**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის თანმიმდევრულობის შემდგომი გაძლიერების მიზნით, რეგულარულად გადაიხედოს კურსების სილაბუსები, სასწავლო მასალები და კრედიტების განაწილება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებთან მდგრად შესაბამისობას.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">1.5. სასწავლო კურსი/საგანი</a>	შესაბამისობაშია

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

**2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები.**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">2.1. პროგრამაზე დამკვეთის წინაპირობები</a>	აირჩიეთ შესაბამისი

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტში დანერგილია მოთხოვნებისა და შეფასების ქმედითი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის ეფექტიანობის შესახებ სისტემატური უკუკავშირის მიღებას. პროცესი გამჭვირვალეა და ეფუძნება ერთიან პრინციპებს. პრაქტიკული უნარ - ჩვევები ისწავლება უნივერსიტეტის სიმულაციურ ცენტრში, უნივერსიტეტის კლინიკებსა და სხვადასხვა აფილირებულ სამედიცინო დაწესებულებებში.

საწყის სემესტრებში ტექნიკური უნარების განვითარება ხორციელდება უნარ - ჩვევების ცენტრში სიმულატორებისა და მანეკენების გამოყენებით, რის შემდგომაც სტუდენტები გადადიან კლინიკურ პრაქტიკაზე. კლინიკური უნარების, აგრეთვე, ეთიკური, საკომუნიკაციო და პროფესიული დამოკიდებულებების განვითარება ხორციელდება კლინიკური მედიცინის მოდულების ფარგლებში.

სიმულაციური სწავლებისთვის გამოყოფილია სპეციალური/სპეციალიზებული სივრცეები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და საჭირო სასწავლო მასალებით. სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა შეიძინონ და განავითარონ ფართო სპექტრის ტექნიკური და კლინიკური უნარები — დაწყებული ძირითადი პროცედურებით, როგორცაა ინტრავენური ინექციები,

კანულაცია და ჭრილობის მოვლა, და გაგრძელებული უფრო რთული და მაღალგანვითარებული ტექნიკებით. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ თითოეულმა სტუდენტმა მიიღოს აუცილებელი პრაქტიკული გამოცდილება, ამავედროულად, ქმნის ცოდნის გაღრმავებისა და გაფართოების დამატებით შესაძლებლობებს მაღალი მოტივაციის მქონე სტუდენტებისთვის.

ტექნიკური უნარების დახვეწა ხორციელდება უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიკაელიანის ქირურგიის ინსტიტუტის შენობაში განთავსებულ აუდიტორიებში. აღნიშნული ინფრასტრუქტურა შეესაბამება OSCE სადგურების მოთხოვნებს და გამოიყენება გამოცდების ჩასატარებლად.

ტექნიკური და პრაქტიკული უნარების განვითარების თვალსაზრისით, უნივერსიტეტმა უზრუნველყო უკეთესი კოორდინაცია როგორც ქირურგიის საფუძვლების, ასევე, უფრო მოწინავე ტექნიკის სწავლებაში – დაწყებული ტოპოგრაფიული ანატომიითა და ოპერაციული ქირურგიით, და გაგრძელებული ზოგადი ქირურგიითა და მისი ქვესპეციალობებით უნარების ცენტრში, მინიმალურად ინვაზიური ქირურგიის სამუშაო სადგურებისა და სიმულაციური ყუთის ტრენაჟორების გამოყენებით. ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სამედიცინო გამოსახულების სიმულაცია დიაგნოსტიკური ულტრაბერიითი კვლევის გამოყენებით (ანატომიური ფანტომების და in vivo პროტოკოლების საფუძველზე).

გარდა ამისა, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პაციენტის საწოლთან კლინიკური პრაქტიკა. დანერგილია 12-თვიანი როტაციული კლინიკური პრაქტიკა. ამ პერიოდის დაწყებამდე სტუდენტები იღებენ სპეციალურ ჟურნალს, რომელშიც ჩამოთვლილია მოსალოდნელი კომპეტენციები და სწავლის შედეგები. როტაციის დასრულებისას ხელმძღვანელი აფიქსირებს სტუდენტის მიღწევებს. სიმულაციურ ცენტრში შეფასების მსგავსად, კლინიკებში პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების შეფასება ხორციელდება სპეციალურად შემუშავებული შეფასების ფორმების გამოყენებით.

ექსპერტთა პანელი მნიშვნელოვან უპირატესობად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია საკუთარი საავადმყოფოები, სადაც სტუდენტებს აქვთ ფართო კლინიკური წვდომა როგორც ამბულატორიულ, ასევე, სტაციონარულ პაციენტებთან პრაქტიკისა და უნარების განვითარების მიზნით.

კვლევითი კომპონენტი პროგრამის არსებითი ნაწილია, ხოლო სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარება დეტალურად არის აღწერილი უნივერსიტეტის მეცნიერების განვითარების კონცეფციაში (2018–2038). პროგრამა მოიცავს კურსს „კვლევის საფუძვლები“, რომელიც ფარავს კვლევის კონცეფციებს, მეთოდოლოგიას, ლიტერატურის გამოყენებას, ინფორმაციის მოძიების უნარებს, სამეცნიერო სტატიებისა და „გაიდლაინების“ ანალიზს, ანგარიშის მომზადებასა და პრეზენტაციას. კურსის დასრულების შემდეგ, სტუდენტებს მოეთხოვებათ საბოლოო პროექტის წარდგენა.

„კვლევის საფუძვლების“ კურსის ფარგლებში ასევე დანერგილია მენტორობის ინიციატივა, სადაც კურსდამთავრებულები ეხმარებიან ახალგაზრდა სტუდენტებს და ამავედროულად ავითარებენ საკუთარ კვლევით უნარებს.

სტუდენტები ასევე მონაწილეობენ მოხალისეობრივ კვლევით აქტივობებში COBRAIN - ის სამეცნიერო - საგანმანათლებლო ცენტრში, სადაც ისინი იძენენ როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ლაბორატორიული კვლევის ჩასატარებლად. თუმცა, სასურველია, მეტი

სტუდენტის ჩართვა პრაქტიკულ სამეცნიერო კვლევებში, რათა შემდგომში კიდევ უფრო განვითარდეს მათი ექსპერიმენტული უნარები ბიომედიცინის მიმართულებით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პირებმა დაადასტურეს, რომ მათი მიზანია სტუდენტებში სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარება და მათი მაქსიმალურად ჩართვა კვლევით საქმიანობაში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მიზნად ისახავს როგორც პრაქტიკული, ისე სამეცნიერო უნარების განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფას, აღნიშნული მიმართულება ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის განხორციელებული და სამომავლოდ საჭიროებს კვლევითი კომპონენტის უფრო მკაფიო სტრუქტურირებასა და სტანდარტიზაციას.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პროგრამის აღწერის დოკუმენტი.
- სილაბუსები, სასწავლო გეგმების რუკა.
- ანგარიში - ექიმის/ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ქმედებების შესახებ, რომლებიც განხორციელდა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების საპასუხოდ.
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ პერსონალთან, თანამშრომლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

#### **რეკომენდაციები.**

- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მიზნად ისახავს როგორც პრაქტიკული, ისე სამეცნიერო უნარების განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფას, აღნიშნული მიმართულება ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის განხორციელებული და სამომავლოდ საჭიროებს კვლევითი კომპონენტის უფრო მკაფიო სტრუქტურირებასა და სტანდარტიზაციას.

#### **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### **შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

<b>კომპონენტი</b>	<b>შეფასება</b>
<a href="#">2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და</a>	მეტწილად

### **2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

#### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტმა დანერგა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის სტრატეგია, რომელიც იყენებს თანამედროვე და მრავალფეროვან საგანმანათლებლო მეთოდებს. სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება უნარების ლაბორატორიებში არსებული სიმულატორები, მცირე ჯგუფებში სწავლება კონკრეტული აქტივობებისთვის სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, აგრეთვე, OSCE კურსების ვიდეო- და აუდიოჩაწერა, რაც უზრუნველყოფს როგორც სწავლების, ისე სწავლის შედეგების ობიექტური ანალიზის შესაძლებლობას.

სასწავლო გეგმა სტრუქტურირებულია თეორიულ, პრეკლინიკურ და კლინიკურ მოდულებად. თეორიული კომპონენტი სტუდენტებს აძლევს ფუნდამენტურ ცოდნას, რომელიც აუცილებელია როგორც სამეცნიერო საფუძვლების გააზრების, ისე კლინიკური პრაქტიკის განხორციელებისთვის.

პრეკლინიკური კურსები ორიენტირებულია უნარ-ჩვევების ცენტრში ტექნიკური და კლინიკური უნარების განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს მათ უფექტიან გამოყენებას კლინიკურ გარემოში. უნივერსიტეტმა ასევე დანერგა აქტივობები, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, პაციენტის საწოლთან სწავლების პროცესში, პრაქტიკაში გამოიყენონ მიღებული ცოდნა.

დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების მეთოდებისა და სასწავლო აქტივობების უწყვეტ გაუმჯობესებაზე, ასევე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების აკადემიურ და კვლევით პრაქტიკაში ინტეგრაციაზე. დოკუმენტაცია და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს როგორც ტრადიციული მეთოდების — ლექციების, მცირე ჯგუფებში სწავლების, პრაქტიკული და ვორქშოპ-სემინარების, ლაბორატორიული კურსების, წერილი დავალებების, პრეზენტაციებისა და პაციენტის საწოლთან სწავლების — ისე თანამედროვე მიდგომების, აუდიო- და ვიდეომასალების, სტრიმინგის, Journal Club-ის, გუნდური სწავლების (Team-Based Learning) და ინტერაქტიული და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების გამოყენებას. უნივერსიტეტმა დანერგა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის სტრატეგია, რომელიც იყენებს თანამედროვე და მრავალფეროვან საგანმანათლებლო მეთოდებს.

ინტერვიუებმა ცხადყო, რომ აკადემიური პერსონალი კარგად ფლობს როგორც ტრადიციულ, ასევე, თანამედროვე სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, მათ შორის MINI-CEX-ს, DOPS-ს, OSCE-სა და OSPE-ს. თუმცა, ზოგიერთმა ლექტორმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მეთოდოლოგიურ ტრენინგებს მხოლოდ 3-4 წელიწადში ერთხელ ატარებს, რაც ხაზს უსვამს უფრო სისტემური და ხშირი პროფესიული განვითარების საჭიროებას.

კვლევითი უნარების განვითარების მხარდასაჭერად, პროგრამა მოიცავს სპეციალურ კურსებს (კვლევის საფუძვლები და შესაბამისი არჩევითი საგნები), რომლებიც ხელს უწყობენ ანალიტიკურ, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას. თითოეული კურსი მკაფიოდ განსაზღვრავს სწავლის

შედეგებს, სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, თეორიასა და პრაქტიკას შორის ბალანსს და შესაბამის სასწავლო რესურსებს.

დაწესებულება ორიენტირებულია სამეცნიერო კვლევის განვითარებაზე; თუმცა, რეკომენდებულია, სასწავლო გეგმასთან ინტეგრირებული სტუდენტური კვლევითი აქტივობების შემდგომი გაძლიერება.

საერთო ჯამში, სწავლებისა და სწავლის მეთოდები სრულად შეესაბამება პროგრამის დონეს, კურსის შინაარსს და კონკრეტულ მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს სასურველი სასწავლო შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო სისტემა სათანადოდ არის მხარდაჭერილი თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით.

დიდაქტიკური კონცეფციის გაუმჯობესების მიზნით, უფრო ფართოდ გამოიყენება ელექტრონული სწავლების (E-learning) მიდგომებიც.

ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ ლექტორებს არ გააჩნიათ სტუდენტთა პროფესიონალიზმისა და ემპათიის შეფასების ერთიანი და სტრუქტურირებული კრიტერიუმები. აღნიშნული არათანმიმდევრულობა/შეუსაბამობა განაპირობებს შეფასებების სუბიექტურობას და ართულებს ეფექტიანი უკუკავშირის მიწოდებას, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა უარყოფითად აისახოს სტუდენტთა პროფესიულ განვითარებაზე.

დასკვნის სახით/საერთო ჯამში, სწავლების სტრატეგიები შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. სწავლებისა და შეფასების მეთოდები მოქნილად გამოიყენება და ითვალისწინებს სტუდენტების მრავალფეროვან საჭიროებებს.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პროგრამის აღწერის დოკუმენტი;
- სილაბუსები, სასწავლო გეგმების რუკა;
- ანგარიში - ექიმის/ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ქმედებების შესახებ, რომლებიც განხორციელდა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების საპასუხოდ;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ პერსონალთან, თანამშრომლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

#### **რეკომენდაციები.**

- რეკომენდებულია, შემუშავდეს და დაინერგოს სწავლების მეთოდოლოგიაზე ორიენტირებული მიზნობრივი ტრენინგები, რათა სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულ ყველა ლექტორსა და პედაგოგს მკაფიო წარმოდგენა ჰქონდეს იმ კონკრეტული კომპეტენციების შესახებ, რომელთა მიღწევაც სტუდენტებისგან არის მოსალოდნელი.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს სტანდარტიზებული კრიტერიუმები და შეფასების ინდიკატორები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს პროფესიონალიზმის, ეთიკური ქცევისა და ემპათიის შეფასების მახასიათებლებს.

- რეკომენდებულია, ახალი კრიტერიუმების საფუძველზე, დაინერგოს სტუდენტებისთვის რეგულარული უკუკავშირი, პროფესიული განვითარების მონიტორინგის მიზნით.

**რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები</a>	მეტწილად

**2.4. სტუდენტის შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ის გამჭვირვალეა თითოეული სტუდენტისთვის და შეესაბამება უნივერსიტეტის მოქმედ რეგულაციებსა და ეროვნულ კანონმდებლობას. შეფასების სისტემა აღწერილია ყველა სილაბუსში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. საბოლოო სერტიფიცირება ხორციელდება ფინალური გამოცდების სახელმწიფო კომისიის მიერ და შეესაბამება ეროვნულ მოთხოვნებს. 2022–2023 სასწავლო წლიდან ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) დაინერგა, როგორც საბოლოო სერტიფიცირების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ძირითადად დასკვნით გამოცდაზე ორიენტირებული შეფასების სისტემიდან გადავიდა შეფასების მრავალკომპონენტიან მოდელზე, რომელიც შეესაბამება მოდულურ სწავლებას და დაგეგმილ სწავლის შედეგებს. ეს ტრანსფორმაცია მოიცავდა შეფასების მეთოდების დივერსიფიკაციას (დანერგული 2015, 2020 და 2022 წლებში) და პრაქტიკული უნარების შეფასების წილის თანდათანობით ზრდას (მიაღწია 30-50%-ს რამდენიმე კლინიკურ მოდულში, როგორცაა ზოგადი ქირურგია, შინაგანი დაავადებების პროპედევტიკა, რევმატოლოგია, ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია).

პროგრამა იყენებს შეფასების მეთოდების ფართო სპექტრს, რომლებიც შეესაბამება როგორც ცალკეული მოდულების, ასევე, მთლიანად პროგრამის სწავლის შედეგებს. კლინიკურ მოდულებში პრაქტიკული უნარები ფასდება მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშოს (Mini-CEX), პროცედურული

უნარების პირდაპირი დაკვირვების (DOPS), OSCE-ს, ასევე, სტრუქტურირებული საკონტროლო სიებისა და ჟურნალების გამოყენებით. პრეკლინიკურ მოდულებში შეფასება მოიცავს პრაქტიკულ, იდენტიფიკაციის ამოცანებს (მაგალითად, ნიმუშების, ჰისტოლოგიური სლაიდებისა და გამოსახულებების ამოცნობას), ხოლო ჰუმანიტარული მოდულების ფარგლებში გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, როგორცაა დისკუსიებში მონაწილეობა, პრეზენტაციები და სხვა ინტერაქტიული ფორმატები.

საბოლოო ატესტაციის პროცესი სამეტაპიანი სტრუქტურირებული ფორმატით ტარდება, მათ შორის OSCE (პირველი ეტაპის სახით, პრაქტიკული უნარების განსაზღვრული ზღვრით), რასაც მოჰყვება ელექტრონული ტესტი და ზეპირი გამოცდა. თეორიული შეფასების ეტაპებზე გადასასვლელად სავალდებულოა პრაქტიკულ კომპონენტში მინიმალური შესრულების დონის დაკმაყოფილება. ყველა ფინალური გამოცდა ტარდება კომპიუტერული ტესტირების ცენტრში, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გამოცდის დასრულებისთანავე, დაუყოვნებლივ მიიღონ უკუკავშირი.

სტუდენტების ცოდნა ფასდება 10 ბალიანი სისტემით. 9–10 – შესანიშნავი; 7–8 – კარგი; 5–6 – დამაკმაყოფილებელი; 1–4 – ჩაჭრა. უარყოფით შეფასებებს შორისაა (FX), რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს, დამატებითი მომზადების შემდეგ ხელახლა ჩააბაროს გამოცდა და (F), რომელიც მოდულის გამეორებას მოითხოვს.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას დადგენილი გასაჩივრების პროცედურების მეშვეობით, ხოლო სტუდენტები ადასტურებენ ამ მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობას. აკადემიური კეთილსინდისიერება მხარდაჭერილია პლაგიატის პრევენციისა და გამოვლენის ინსტიტუციური პოლიტიკით.

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული შეფასების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისა და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიმართულებით, დამატებითი გაუმჯობესებები კვლავ ხორციელდება. აღნიშნული მოიცავს შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების უფრო თანმიმდევრულ გამოყენებას მოდულებსა და გამომცდელებს შორის, განსაკუთრებით კლინიკურ და პრაქტიკულ კომპონენტებში, რაც მიზნად ისახავს გამჭვირვალობისა და სამართლიანობის გაძლიერებას.

გარდა ამისა, პროგრამა მუშაობს სტუდენტებისთვის მიწოდებული უკუკავშირის ხარისხის, დროულობისა და სიზუსტის გაუმჯობესებაზე, სწავლის შედეგებთან და ინდივიდუალურ გასაუმჯობესებელ მიმართულებებთან უფრო მკაფიო კავშირის უზრუნველყოფით. ფართოვდება განმავითარებელი უკუკავშირის მექანიზმები, მათ შორის სტრუქტურირებული დებრიფინგი სიმულაციისა და დაფუძნებული სწავლების, Mini-CEX-ისა და OSCE-ს პრაქტიკის შემდეგ.

პროგრამა ასევე გეგმავს შეფასების შედეგების სისტემატური ანალიზის გაძლიერებას და მკაფიო კომუნიკაციას თუ როგორ გამოიყენება ეს შედეგები სწავლებისა და შეფასების მეთოდების გასაუმჯობესებლად, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები აცნობიერებენ მათი უკუკავშირის გავლენას პროგრამის შემუშავებაზე.

### რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, უზრუნველყოთ გამომცდელების მიერ მოდულებში შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების თანმიმდევრული გამოყენება, განსაკუთრებით პრაქტიკულ და კლინიკურ კომპონენტებში. ასევე, რეკომენდებულია გაუმჯობესდეს სტუდენტებისთვის

მიწოდებული უკუკავშირის ხარისხი, დროულობა და სპეციფიკურობა, რათა იგი მკაფიოდ ასახავდეს როგორც სწავლის შედეგებთან შესაბამისობას, ისე ინდივიდუალური განვითარების სფეროებს.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, განმავითარებელი უკუკავშირის მექანიზმების გაფართოება (მაგალითად, სიმულაციური სესიების შემდგომი სტრუქტურირებული დებრიფინგი, Mini-CEX და OSCE პრაქტიკული შეფასებები) სწავლის ხელის შეწყობის მიზნით.
- სასურველია, რეგულარულად გააანალიზოთ და მოსწავლეებს გაუზიაროთ თუ როგორ გამოიყენება შეფასების შედეგები სწავლებისა და შეფასების მეთოდების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას მათი უკუკავშირის გავლენის შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პროგრამის აღწერის დოკუმენტი;
- კურსის სილაბუსები;
- ანგარიში - ექიმის/ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ქმედებების შესახებ, რომლებიც განხორციელდა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების საპასუხოდ;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ პერსონალთან, თანამშრომლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">2.4. სტუდენტების შეფასება</a>	მეტწილად

### 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და მითითების სათანადო ხარისხი.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

#### რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები</a>	აირჩიეთ შესაბამისი

### 3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

<b>მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები</b>	
სამაგისტრო ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის
სამაგისტრო სტუდენტთა რაოდენობა	პროგრამაზე
სამაგისტრო ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	ნაშრომის

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები.**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

